საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი განაკვეთი შეადგენს 15%. მოგების გადასახადის კალკულაცია და დარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

2.15 სესხები და სესხების ღირებულება

საწყის ეტაპზე სესხების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციების ღირებულების ჩართვის გარეშე, ხოლო შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით. სესხის აღების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ისეთი აქტივების შეძენას, მშენებლობას ან გამოშვებას, რომელთაც მნიშვნელოვანი დრო ჭირდებათ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მოსამზადებლად, კაპიტალიზდება როგორც მოცემული აქტივების ღირებულების ნაწილი. სესხის აღების ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც კომპანიამ მოახდინა მათი თვითღირებულებაში ჩართვა. კომპანია ახდენს სესხის ისეთი დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო კაპიტალური დანახარჯების გაწევა შესაბამის აქტივებზე (qualifying assets). სესხის კაპიტალიზებული დანახარჯების გამოთვლა ხდება კომპანიის დაფინანსების საშუალო ღირებულების მიხედვით (საპროცენტო დანახარჯის საშუალო შეწონილი მაჩვენებლის მისადაგებით შესაბამის აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფულადი სახსრების სესხება ხდება სპეციალურად შესაბამისი აქტივების მოსაპოვებლად. ზემოთხსენებული შემთხვევის დადგომისას, კაპიტალიზება ხდება თვითღირებულებაში ჩართული სასესხო დანახარჯების, გამოკლებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავალი, რომელიც მიღებული იქნება ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირებიდან. ნასესხები სახსრების კაპიტალიზება შესაბამის აქტივებში იწყება იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

- ა) კომპანია თვითღირებულებაში რთავს აქტივზე გაწეულ დანახარჯებს;
- ბ) კომპანია თვითღირებულებაში რთავს ნასესხებ სახსრებს;
- გ) კომპანია თავის თავზე იღებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა აქტივი მოიყვანოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ ან გასაყიდ მდგომარეობამდე.

კომპანია წყვეტს ნასესხები სახსრების კაპიტალიზებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც კომპანია წყვეტს აქტივის მომზადების აქტიურ სამუშაოებს. ნასესხები სახსრების კაპიტალიზება წყდება, როდესაც მთავრდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გაყიდვისთვის საჭირო ყველა საჭირო აქტივობა.

2.16 შემოსავლი აღიარება

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე გაყიდვების უმრავლესობა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და შემოსავალი აღიარდება მყიდველისგან ნაღდი ანგარიშსწორების მომენტში

სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

- შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ;
- სავარაუდოა რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- ბალანსის თარიღისთვის გარიგების დასრულების ეტაპი შეიძლება იყოს შეფასებული საიმედოდ;
- გარიგებაზე გაწეული ხარჯები და გარიგების დასრულების ხარჯები საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

2.17 კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულნი არიან კაპიტალის ნაწილად და ფასდებიან იმ ფულის რაოდენობით რომელსაც მიიღებენ შესაბამის აქციებში, ხოლო თუ აქციები გამოშვებული არიან არაფულადი ანაზღაურების პირობით, მაშინ მისაღები დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებით მიღებული ანაზღაურების ნებისმიერი გადამეტება აქციების ნომინალურ ღირებულებაზე აღირიცხება როგორც საემისიო კაპიტალი.

როდესაც აქციები გამოშვებულია ანაზღაურების მიღება კი მოსალოდნელია მომავალ პერიოდში, მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე აღიარდება აქტივად ბალანსის უწყისში, ხოლო სააქციო კაპიტალი

კრედიტდება ბალანსის უწყისის კაპიტალის ნაწილში. როდესაც მოხდება ანაზღაურების მიღება, მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე ელიმინირდება, ხოლო სააქციო კაპიტალი რეკლასიფიცირდება ჩვეულებრივ სააქციო კაპიტალად.

კომპანიის კაპიტალი ასევე მოიცავს კაპიტალის დაფინანსების სხვა ტიპებს. კაპიტალის დაფინანსების სხვა ტიპი გულისხმობს არსებული აქციონერების მიერ დამატებითი ფინანსირების მოპოვებას აქციების გამოშვების გარეშე. მსგავსი ტიპის კონტრიბუციები კაპიტალში არ აჯილდოვებს ინვესტორ მხარეს ხმის უფლებით. ასევე, არ ხდება პროცენტის დარიცხვა კაპიტალის დაფინანსების მსგავს ტიპზე, ხოლო ინვესტირებული ფული დაუბრუნდება ინვესტორებს მხოლოდ კომპანიის 100%-ის გაყიდვის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, ინვესტორ მხარეს მიენიჭება პრიორიტეტი, რომ მიიღოს გაყიდვიდან შემოსავალი, ვიდრე სხვა ნებისმიერი აქციონერი მიიღებს წილს კომპანიიდან.

2.18 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც :

- ა) კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (ლეგალური ან კონსტრუქციული), როგორც წარსული მოვლენის შედეგი;
- ბ) მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში გამოხატული რესურსების გადინება, რათა მოხდეს ვალდებულების გასტუმრება;
- გ) შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხები გამოიყოფა სხვა ვალდებულებებისაგან მაგალითად : დარიცხული კრედიტორული ვალდებულებები, ვინაიდან არის გაურკვევლობა დროსა და დანახარჯებზე, რომელიც საჭიროა ვალდებულების გასასტუმრებლად.

იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლოა სადავო გახდეს, რომ გარკვეული მოვლენები გამოვლინდნენ ან დადგნენ მიმდინარე ვალდებულების წარმოშობის შედეგად, კომპანია განსაზღვრავს, თუ მიმდინარე ვალდებულება იარსებებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულების გათვალისწინებით, მაგალითად : ექსპერტების შეხედულებებით. გათვალისწინებული მტკიცებულებები მოიცავს ნებისმიერ დამატებით მტკიცებულებას, რომლებიც გამოწვეული იყვნენ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენებით. ასეთი მტკიცებულების საფუძველზე :

- ა) როდესაც დიდია ალბათობა იმისა, რომ მოცემული მიმდინარე ვალდებულება არ არსებობდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აღიარებს ანარიცხს (თუ აღიარების კრიტერიუმები სრულდება)
- ბ) როდესაც დიდია ალბათობა იმისა, რომ არცერთი მიმდინარე ვალდებულება არ არსებობდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია ხსნის პირობით ვალდებულებას, თუ ალბათობა იმისა, რომ მოხდება ეკონომიკურ სარგებელში გამოხატული რესურსების გადინება დაბალია.

ანარიცხები აღიარდება იმ რაოდენობით, რომლებიც საუკეთესოდ აფასებს იმ დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2.19 საკურსო სხვაობა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

3.1 გუდვილის ღირებულება

გუდვილის ნარჩენ ღირებულებაზე გავლენას ახდენს შესაძლო გაუფასურება. გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესების კომბინაციების შედეგად შეძენილი აქტივებიდან, რომლებიც არ არიან ცალ-ცალკე იდენტიფიცირებადი და აღიარებადი. ამგვარად, გუდვილის გაუფასურების შეფასება საჭიროებს დაშვებებს და ვარაუდებს, რომლებიც უკავშირდებათ კომპანიის სამომავლო ოპერაციებს და სხვა მოვლენებს უფრო ფართე ბიზნეს გარემოდან, რომელთა დიდი ნაწილი არ არის კომპანიის პირდაპირი კონტროლის ქვეშ. იმისათვის რომ შეფასდეს გუდვილის სავარაუდო გაუფასურება კომპანია იყენებს ხუთ წლიან ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს მრავალი ფაქტორის შეფასებას, მაგალითად : გაყიდვების ზრდის მაჩვენებლები, ინფლაცია, კონკურენცია, ბაზრის წილი და ა.შ.

მენეჯმენტის კალკულაციები, რომლებიც ეფუძნება მიმდინარე შეფასებებს, დაშვებებს და მოლოდინებს, მიანიშნებს, რომ გუდვილი ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გაუფასურებული. თუმცა, განსხვავებებმა მენეჯმენტის მიერ განხორციელებულ შეფასებებსა და რეალურ გარემოებებს შორის შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს გუდვილის ნარჩენ ღირებულებაზე.

3.2 ფუნქციონირებადი საწარმო

მოცემული ფინანსური უწყისები მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც გლისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების გასტუმრებას კომპანიის ჩვეულებრივი საწარმოო კურსის განმავლობაში. კომპანიის უნარი იმუშაოს ფუნქციონირებადი საწარმოს რეჟიმში დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე დააგენერიროს ფულადი ნაკადები, რომლებიც საკმარისი იქნება ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, მათ შორის უზრუნველყოფა დაფინანსების მოპოვების შესაბამისი ღონისძიებების, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს, საბოლოოდ კი შეინარჩუნოს მომგებიანობა.

კომპანიის ოპერაციების გაგრძელების უნარის შეფასებისას მენეჯმენტმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანია იყო ზარალიანი და ქონდა უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. თუმცა, მენეჯმენტმა ეს ფაქტი არ მიიჩნია უჩვეულოდ სტარტაპის ფაზაში მყოფი კომპანიისათვის. მენეჯმენტს მომავალი 5 წლის განმავლობაში აქვს დადებითი ზრდის მოლოდინი, მათ სჯერათ, რომ ეს მიღწევადია და არანაირი საფრთხე არ ემუქრება კომპანიის უნარს გააგრძელოს ოპერაციები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ასევე, მენეჯმენტს სჯერა და აქვს ყველა საჭირო დასტური, რომ კომპანიის აქციონერებს სურთ და ძალუწთ მოიძიონ საჭირო ფინანსური მხარდაჭერა როგორც მინიმუმ ერთ წლიანი პერიოდისათვის 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ.

მენეჯმენტმა ასევე გაითვალისწინა კომპანიის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავის შესაძლო ზეგავლენა. გარკვეულ მოთხოვნებზე შესაბამისი ანარიცხები აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. მენეჯმენტს სჯერა, რომ სხვა სასამართლო დავები არ მოუტანს არსებით ზიანს კომპანიის მომავალ ოპერაციებს, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგები სასამართლო დავების ვერ იქნება 100 %-იანი სიზუსტით პროგნოზირებადი და რეალური სიტუაცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

3.3 სამართლებრივი დავები

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ანარიცხებს, როდესაც არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარსული მოვლენიდან, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ტრანსფერი და ამ ტრანსფერის დანახარჯის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოცემული კრიტერიუმები არ სრულდება, პირობითი ვალდებულება განმარტებული იქნება ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალიზაციამ, რომელიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე. მოცემული აღრიცხვის პრინციპების მისადაგება სამართლებრივი გარემოებების მიმართ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისაგან ისეთი ფაქტორები და სამართლებრივი საკითხების გადაჭრას, რომლებიც სცდება კომპანიის კონტროლის სივრცეს.

3.3 სამართლებრივი დავები (გაგრძელება)

კომპანია განიხილავს შეუსრულებელი სამართლებრივი დავების განვითარებას თითოეული საბალანსო თარიღისათვის რათა შეაფასოს ანარიცხების შექმნის საჭიროება ფინანსურ ანგარიშგებაში. იმ ფაქტორებს შორის რომლებიც განიხილება ანარიცხების შექმნისას არის სასამართლო დავის ბუნება, მოთხოვნები ან დაკისრებული გადასახდელები, სამართლებრივი პროცესი და ზიანის პოტენციური დონე მართლმსაჯულებაში, რომელშიც სასამართლო დავა, მოთხოვნა ან დაკისრებული გადასახდელები იქნა გადაცემული, საქმის მიმდინარეობის პროგრესი (მათ შორის პროგრესი ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაგრამ ანგარიშგების წარდგენის თარიღის დადგომამდე), იურიდიული მრჩეველების შეხედულებები, გამოცდილება მსგავს შემთხვევებში და კომპანიის მენეჯმენტის სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ როგორ უპასუხებს სამართლებრივ დავას, მოთხოვნას ან დაკისრებულ გადასახდელებს. ანარიცხები გარკვეულ მოთხოვნებზე აღიარებული არის მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ სხვა სასამართლო დავები არ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

3.4 საეჭვო ვალების რეესტრი

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების კოლექტიურობას წარსულ გამოცდილებასა და მომავალ მოლოდინებზე დაყრდნობით. ფაქტორები მონაცემები შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მიმდინარე შეფასებისგან.

3.5 გადავადებული მოგების აქტივის აღიარება

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოყენებული საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

3.6 ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3.7 გადასახადები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

კომპანია ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას. კომპანიის მენეჯმენტი საგადასახადო ვალდებულებების აღიარებას საგადასახადო კანონმდებლობაზე დაყრდნობით და ასევე განიხილავს ბუღალტერთა და სხვა კონსულტანტების შეხედულებებს. თუმცა, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ არ დაეთანხმონ მენეჯმენტის ინტერპრეტაციას კანონმდებლობის შესახებ. სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანოები დაიჭერენ უფრო მყარ პოზიციას კანონმდებლობისა და შეფასებების ინტერპრეტაციაში. შედეგად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი საგადასახადო ვალდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ შეფასებული თანხისაგან.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 სს ფუდმარტი
 31 დეკემბერი 2017
 თანხები მოცემულია ლარში

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აღჭურვილობა	კაპიტალიზირებული დანახარჯები	სულ
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2015	2,383,147	10,744,279	6,988,553	3,175,455	23,291,434
დამატება	-	350,113	194,463	117,773	662,349
ჩამოწერა	-	(60,814)	(23,686)	(308,892)	(393,392)
31 დეკემბერი 2016	2,383,147	11,033,578	7,159,330	2,984,336	23,560,391
დამატება	3,645	292,752	189,957	371,514	857,868
ჩამოწერა	-	(969,772)	(629,253)	-	(1,599,025)
31 დეკემბერი 2017	2,386,792	10,356,558	6,720,034	3,355,850	22,819,233
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2015	(237,754)	(2,542,011)	(2,457,838)	(1,055,870)	(6,293,473)
ცვეთა	(119,380)	(968,842)	(1,073,547)	(621,799)	(2,783,568)
გასვლა	-	20,392	3,510	141,021	164,923
31 დეკემბერი 2016	(357,134)	(3,490,461)	(3,527,875)	(1,536,648)	(8,912,118)
ცვეთა	(119,106)	(994,548)	(1,102,031)	(672,117)	(2,887,802)
გასვლა	-	606,097	393,277	-	999,374
31 დეკემბერი 2017	(476,240)	(3,878,912)	(4,236,629)	(2,208,765)	(10,800,546)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2016	2,026,013	7,543,117	3,631,455	1,447,688	14,648,273
31 დეკემბერი 2017	1,910,552	6,477,646	2,483,405	1,147,085	12,018,688

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

5. გუდვილი

2013 წლის 2 დეკემბერს საქართველოში სუპერმარკეტების ქსელის ოპერაციების დასაწყებად სს "ფუდმარტმა" შეიძინა საქართველოში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იოლი სუპერმარკეტის“ ყველა მოძრავი ქონება და მატერიალური მარაგი.

განსხვავება იდენტიფიცირებული აქტივების / ვალდებულებებისა და შესყიდვის წმინდა ღირებულებას შორის, რომელიც შეადგენს 2,173,033 ლარს, აღიარებულია გუდვილად.

2013 წლის 10 დეკემბერს სუპერმარკეტების ქსელის ოპერირების მიზნით, სს ფუდმარტმა შეიძინა საქართველოში არსებული სუპერმარკეტების ქსელის სს პოპულის ყველა აქტივი (სუპერმარკეტების ქსელი, უძრავი ქონება, დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, არამატერიალური აქტივები, მარაგები, ფულადი სახსრები, მოთხოვნები და სხვა აქტივები).

განსხვავება იდენტიფიცირებული აქტივების / ვალდებულებებისა და შესყიდვის წმინდა ღირებულებას შორის, რომელიც შეადგენს 13,286,730 ლარს, აღიარებულია გუდვილად.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე კონტრაქტი იურიდიულად შედგენილია, როგორც აქტივის შესყიდვის კონტრაქტი, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ გარიგების მიზნობრიობა არის ბიზნესის შეძენა IFRS-ის თანახმად.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტმა განიხილა გუდვილის შესაძლო გაუფასურება და დაასკვნა, რომ არ არის გაუფასურებული. მენეჯმენტმა განიხილა მომავალი ფულადი ნაკადები კომპანიის ხუთი წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე. ანალიზში განიხილებოდა ყველა სავარაუდო ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამომავლო მოსაზრებებზე.

6. მარაგები

	2017	2016
საკვები	5,403,054	7,846,564
არასაკვები	1,931,759	2,805,389
სასმელი	2,831,786	4,112,450
სხვა	335,559	487,315
სულ	10,502,157	15,251,718

7. სხვა ავანსები და მოთხოვნები

	2017	2016
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	490,424	372,746
წინასწარ გადახდილი ხარჯები	48,444	36,820
სხვა ავანსები	7,450	5,662
სულ	546,318	415,228

8. სავაჭრო მოთხოვნები

	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	2,547,554	2,044,257
მოთხოვნები მარკეტინგული მომსახურებიდან	752,297	362,942
სხვა	280,423	135,289
სულ მოთხოვნები	3,580,274	2,542,487
ანარიცხების რეზერვი	(1,575,103)	(1,575,103)
სულ	2,005,171	967,384

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

8. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

ვაჭრობისა და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ვადა გადაუცილებელი	2,005,171	967,384
ვადაგადასული და ინდივიდუალურად მიჩნეული გაუფასურებულად	1,575,103	1,575,103
გაუფასურების რეზერვი	(1,575,103)	(1,575,103)
სულ	2,005,171	967,384

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016
ნაღდი ფული	1,191,880	849,979
ფული ბანკში	1,203,804	442,426
სულ	2,395,684	1,292,405

10. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 200 ლარს, რომელიც შედგება 20000 აქციისგან ნომინალური ღირებულებით 0.01 ლარი. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კომპანიის აქციების კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციების გაცემის გზით.

სხვა სააქციო კაპიტალი შედგება დამატებითი დაფინანსებისგან, რომელიც მიღებული არის იმ აქციონერების მიერ, რომლებზეც არ არის გაცემული აქციები. ეს კონტრიბუციები კაპიტალში არ აძლევს დამფინანსებელს ხმის მიცემის უფლებას, არ არსებობს საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ამ ტიპის სააქციო კაპიტალის დაფინანსებაზე და საინვესტიციო ფულს გადაეცემა მხოლოდ საწარმოს 100% -ის გაყიდვის შემდეგ მოხდება. ქვევით მოცემული ცხრილი ასახავს დეტალურ ინფორმაციას 2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალში ოპერაციების შესახებ:

აქციონერი	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	ხმის მიცემის უფლება (%)	ნომინალური ღირებულება (ლარი)	Share premium (ლარი)	სხვა დაფინანსება (ლარი)	სულ კაპიტალში შენატანები (ლარი)
GRDF	700	2.3%	5	-	4,000,000	4,000,005
SEAF	13,300	44.6%	89	-	8,051,003	8,051,092
FMO	9,850	33.0%	66	-	-	66
Foodservice Ltd	6,000	20.1%	40	5,143,788	13,104,162	18,247,990
სულ	29,850	100%	200	5,143,788	25,155,165	30,299,153

11. მიღებული სესხები

მსესხებელი	2017	2016
დაკავშირებული მხარეები	20,995,316	21,428,676
ბანკები	8,193,524	7,400,606
სულ	29,188,840	28,829,282

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

12. სავაჭრო ვალდებულებები

	2017	2016
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	12,644,348	12,452,971
ვალდებულებები სერვისის გაწევის მიმართ	357,612	372,715
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შემენიდან	59,872	1,084
სხვა	717,376	791,992
სულ	13,779,208	13,618,762

13. შემოსავალი

	2017	2016
საცალო ვაჭრობა	111,389,652	96,423,947
წამოება	11,086,817	10,459,996
პროექტები	277,669	1,073,866
სულ	122,754,138	107,957,809

14. თვითღირებულება

	2017	2016
საცალო ვაჭრობა	(89,408,698)	(76,212,775)
წარმოება	(7,483,889)	(7,518,618)
პროექტები	(173,195)	(617,883)
სულ	(97,065,782)	(84,349,275)

15. სხვა შემოსავალი

	2017	2016
შემოსავალი იჯარიდან და ქვე-იჯარიდან	720,744	535,912
მარკეტინგული შემოსავალი	2,870,324	1,814,628
შემოსავალი სუბორდინირებული ფრანჩიზიდან	106,545	11,681
სხვა	722,711	426,339
სულ	4,420,324	2,788,560

SPAR ბრენდის ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი სს "ფუდმარტი" ყოველ დამოუკიდებელ საცალო მოვაჭრეს, მაღაზიას ანდ მაღაზიათა ქსელს იწვევს SPAR ბრენდში გასაერთიანებლად. SPAR ბრენდთან გაერთიანება თავაზობს დამოუკიდებელ საცალო მოვაჭრეს ისარგებლონ იმავე პირობებით, როგორც SPAR.

SPAR- ის ლიცენზიის მიღება და პროექტში ჩართვა შესაძლებელია უკვე არსებული მაღაზიებისთვის, SPAR Georgia მიზანია უკეთესი არჩევანის გაკეთება, კერძო ეტიკეტი და მომხმარებელზე მორგებული მომსახურება.

პირველი კომპანია, რომელიც მიიღო ფრანჩაიზინგის ლიცენზია იყო შპს "ევროფრუდი" და პირველი ფრენჩიზის მაღაზია გაიხსნა ზუგდიდში. 2017 წლის 31 დეკემბერს სს ფუდმარტმა უკვე გააფორმა ფრანჩაიზის შეთანხმება ხუთი პარტნიორთან.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

16. კომერციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(6,037,224)	(5,540,513)
იჯარა	(8,934,263)	(8,479,209)
კომუნალური	(2,550,227)	(2,517,582)
ლოჯისტიკური მომსახურების ღირებულება	(347,957)	(305,615)
გაყიდვების სტიმულაციის ხარჯები	(428,018)	(459,722)
მასალების შეფუთვა	(1,154,278)	(1,076,164)
სარეკლამო ხარჯები	(380,703)	(160,025)
საბანკო მომსახურების ღირებულება	(517,984)	(397,173)
სულ	(20,350,654)	(18,936,003)

17. პირითა და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,882,496)	(2,392,491)
პროფესიონალური და საკონსულტაციო მომსახურება	(444,884)	(393,920)
ინკასაციის ხარჯები	(165,740)	(158,016)
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(193,934)	(188,735)
ტრანსპორტირების ღირებულება	(106,782)	(148,992)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	(120,870)	(150,999)
ფრანჩიზის ღირებულება	(245,735)	(221,376)
საგადასახადო ხარჯები	(160,264)	(186,995)
იჯარა	(184,088)	(139,676)
საკანცელარიო ხარჯები	(59,498)	(39,175)
სხვა	(372,710)	(348,696)
სულ	(4,937,001)	(4,369,071)

18. საპროცენტო ხარჯები

	2017	2016
საპროცენტო ხარჯები ბანკის სესხზე	(674,886)	(851,737)
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეების სესხზე	(1,275,125)	(992,136)
სულ	(1,950,011)	(1,843,873)

19. დაკავშირებული მხარეები

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მესაკუთრე	პირითა და მენეჯმენტი	მესაკუთრე	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
მიღებული სესხები	20,995,316	-	-	20,995,316
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	970,049	16,926	-	986,975
კომერციული ხარჯები	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი	1,275,125	-	-	1,275,125
პირითა და ადმინისტრაციული ხარჯები	-	367,280	-	367,280

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

ბალანსი და ტრანზაქციები
დაკავშირებულ მხარეებთან 2016
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მესაკუთრე	პირითადი მენეჯმენტი	მესაკუთრე	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
მიღებული სესხები	21,428,676	-	-	21,428,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	829,382	14,472	-	843,853
კომერციული ხარჯები	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	992,136	-	-	992,136
პირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	314,020	-	314,020

20. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

20.1 სავალუტო ოპერაციები

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც მომავალი კომერციული ოპერაციები ან აღიარებული აქტივები ან ვალდებულებები დენომინირებულია იმ ვალუტაში, რომელიც არ არის საწარმოს საოპერაციო ვალუტა

ცხრილში მოცემული არის კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

31-დეკ-17	დენომინირებული ლარში	დომინირებული დოლარში და გამოსახული ლარში	სულ გამოსახული ლარში
ფულადი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,369,278	26,406	2,395,684
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,005,579	-	2,005,579
სულ ფინანსური აქტივები	4,374,857	26,406	4,401,263
ფულადი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13,779,208	-	13,779,208
საიჯარო ვალდებულება	467,252	500,233	967,485
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	474,247	-	474,247
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული სესხები	6,271,861	22,916,980	29,188,840
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,992,567	23,417,213	44,409,780
სავალუტო პოზიცია	(16,617,711)	(23,390,807)	(40,008,517)

20.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

31-დეკ-17	Up to one year	1 to 3 years	3 to 5 years	More than 5 years	TOTAL
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვ. მოთხოვნები	2,395,684	-	-	-	2,395,684
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,005,171	-	-	-	2,005,171
	319,153	-	-	-	319,153
სულ ფინანსური აქტივები	4,720,008	-	-	-	4,720,008
ფინანსური ვალდებულებები					
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	13,779,208	-	-	14,169,603	27,788,365
ვალდებულებები ბიზნეს კომბინაციებიდან	-	-	-	4,927,169	4,927,169
საიჯარო ვალდებულება	467,252	-	-	538,089	1,038,322
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	474,247	-	-	431,196	861,856
საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	188,162	384,594
მიღებული სესხები	6,044,445	2,149,080	20,995,316	21,313,718	51,175,166
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,765,152	2,149,080	20,995,316	41,567,937	86,175,472
ლიკვიდურობა	(16,045,144)	(2,149,080)	(20,995,316)	(41,567,937)	(81,455,464)
დაგროვილი ლიკვიდურობის დეფიციტი	(16,045,144)	(2,149,080)	(20,995,316)	(41,567,937)	(81,455,464)

როგორც ანალიზი მიუთითებს, კომპანიას დასჭირდება მნიშვნელოვანი ლიკვიდურობა, იმისათვის, რომ შეასრულოს როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი ვალდებულებები. კომპანიის ლიკვიდურობის პოზიციის ანალიზში მენეჯმენტი ასევე მიიჩნევს, რომ მიმდინარე სესხების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია სესხი BoG- ისგან, რომელიც, მაღალი ალბათობით, ვადის გასვლის შემდეგ BiG-თან შეთანხმებით იქნება გაგრძელებული. მიმდინარე სესხები ასევე მოიცავს დაკავშირებული მხარეებიდან მიღებულ სესხებს, რომლებიც ასევე არ არის კრიტიკული და ვადის გახანგრძლივება ხელმისაწვდომი იქნება საჭიროების შემთხვევაში. ზემოთ მოცემული ცხრილი არ შეიცავს მარაგებს. მიუხედავად იმისა, რომ მარაგები არ არის ფინანსური აქტივები, ეს არის წყარო, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ლიკვიდურობას, რომ დაფაროს ვალდებულებები.

20.3 სამართლებრივი პროცედურები

სუბიექტი	მხარეები	სასამართლო	დავის საგანი	დავის ღირებულება	უზრუნველყოფა	სტატუსი	შენიშვნა
ევგენი ფიჩხია	-სს პოპული -სს ფუდმარტი -შპს სუპერმარკეტი იოლი	თბილისის სააპელაციო სასამართლო	პოპულსა და ფუდმარტს შორის გაფორმებული ყველა აქტივის გადაცემის ხელშეკრულების ბათილობა	32,110,000 ლარი	-	გასაჩივრებულ ია აპელაციაში ფიჩხიას მიერ	სავარაუდოა, რომ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება
მამუკა მირცხულავა	-სს პოპული -სს ფუდმარტი	თბილისის სააპელაციო სასამართლო	ს/ს "პოპულსა" და ს/ს "ფუდმარტს" შორის დადებული უძრავი ქონების	20,027 ლარი	უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა არის	გასაჩივრებულ ია აპელაციაში მირცხულავას მიერ	პოპულსის გადახდის უუნარობის გამო სავარაუდოა,

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

		სასამართლო	ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა		გამოყენებული ს/ს "ფუდმარტი"-ს საკუთრებაში არსებულ 1 უძრავ ქონებაზე		რომ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება
შპს პოულტრიკორჯია	-სს ფუდმარტი -შპს პოულტრიკორჯია	თბილისის სააპელაციო სასამართლო	ს/ს "პოპულსა" და ს/ს "ფუდმარტს" შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა	103,000 ლარი	უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დაყადაღებულია ს/ს "ფუდმარტის"-ს უძრავი ქონება (რვა საკადასტრო ერთეული, რომელიც შეძენილია "პოპულისაგან")	გასაჩივრებულია აპელაციაში პოულტრიკორჯიას მიერ	სავარაუდოა, რომ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება
შპს პეპელა	-სს ფუდმარტი -შპს პეპელა	თბილისის სააპელაციო სასამართლო	ვალის გადაკისრების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად შესრულება	9,623 ლარი	უზრუნველყოს ღონისძიებათ გამოყენებულია ყადაღა თანხაზე 9623 ლარი/ყადაღა გასაჩივრებულია და არ დაკმაყოფილდა/შეგებებული სარჩელია 9000 ლარზე	გასაჩივრებულია აპელაციაში ფუდმარტის მიერ	დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაწყდება
შპს „Civil and Public Law Office“	-Civil and Public Law Office -სს პოპული -სს ფუდმარტი	თბილისის სააპელაციო სასამართლო	პოპულსა და ფუდმარტს შორის ხელშეკრულების ბათილობა	-	-	გასაჩივრებულია აპელაციაში „Civil and Public Law Office“ მიერ	პოპულსის გადახდის უუნარობის გამო, სავარაუდოდ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება
ნლ ფუდი	-სს ფუდმარტი -ნლ ფუდი	თბილისის საქალაქო სასამართლო	ვალდებულების შესრულება ვალის გადაკისრების ხელშეკრულებიდან გამომდინარე	173,000 ლარი	-	დაკმაყოფილებულია მოთხოვნა	After receiving the justified decision, we will decide
ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის კომიტეტი	ფუდმარტი/კომიტეტი	თბილისის საქალაქო სასამართლო	ბარტერის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის დაკისრება	19,960 ლარი	-	მორიგების ჩარიცხულია 9000 ლარამდე და ეტაპობრივად ჩაირიცხება დარჩენილი თანხა	-

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სს ფუდმარტი

31 დეკემბერი 2017

თანხები მოცემულია ლარში

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა ზემოთ განხილული რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის, სავალუტო რისკების და მიმდინარე სასამართლო პროცესების ჩათვლით.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის საქმიანობა საფრთხეს არ ემუქრება და მათ არ აქვთ გეგმები კომპანიის ლიკვიდაციისთვის ან მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისთვის.